ცვლილება დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი N 09

„ 11 " 08 2020 წ.

რექტორი: _____ მარინა ფირცხალავა

საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების წესი

თავი 1. საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები მიმართული კურსდამთავრებულისათვის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებაზე, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) დონით, რაც განაპირობებს პირის შემდგომ საფეხურზე სწავლის და/ან მიღებული კვალიფიკაციით შესაბამისად დასაქმებას.
2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს.
3. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დარგობრივ ჭრილში განხორციელებული შრომითი ბაზრის კვლევის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე. მიღებული შედეგის შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიმართავს შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს პროგრამის განხორციელების რეკომენდაციით (წინადადებით).

თავი 2. საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება

1. საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შემუშავდეს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, აკრედიტაციის სტანდარტების და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე დეკანის წარდგინებით (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე) და ინიშნება პროგრამის ხელმძღვანელი.

3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალი და რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.
4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესის საფუძველზე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლის აქტიური მონაწილეობით შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამას;
5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სილაბუსები შემუშავებულ უნდა იქნას უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სილაბუსის შემუშავების ინსტრუქციის შესაბამისად.
6. საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად უნდა მომზადდეს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომლის განახლება მოხდება პერმანენტულად საჭიროებიდან გამომდინარე;
7. შეიქმნას საბიბლიოთეკო ბაზის, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული რესურსი, ელექტრონული კატალოგი, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. პერმანენტულად მოხდეს მისი განახლება ახალი გამოცემებითა და ლიტერატურით.
8. საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ აკრედიტაციის სტანდარტებსა და დარგობრივ მახასიათებელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) უნივერსიტეტის სახელწოდება;

ბ) პროგრამის სახელწოდება;

გ) პროგრამის დამტკიცების თარიღი;

დ) პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში);

ე) პროგრამის საფეხური;

ვ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი);

ზ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;

თ) პროგრამის ხანგრძლივობა;

ი) სწავლების ენა;

კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;

ლ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: მიზანი უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს. მიზანი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და მკაფიოდ, იყოს მიღწევადი და ჩანდეს სტუდენტის დასაქმების პერსპექტივა.

მ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები: უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს, მოიცავდეს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და დარგობრივ მახასიათებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნ) სწავლების ფორმატი;

ო)სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნის საფუძველზე, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა,

უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას;
პ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
ჟ) სასწავლო გეგმა;
რ) პროგრამას თან ერთვის ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსები, რომლებიც შემუშავებულია და შევსებულია უნივერსიტეტის სილაბუსის შემუშავების ინსტრუქციის თანახმად (იხ.სილაბუსის შემუშავების ინსტრუქცია);
ს) სწავლის შედეგების რუკა;
ტ) სასწავლო დისციპლინების შესწავლის წინაპირობების მატრიცა;
უ) დასაქმების სფერო;
ფ) პროგრამის სტრუქტურის აღწერა: მოიცავს სასწავლო სემესტრების რაოდენობას, კრედიტების რაოდენობას, შეფასების სისტემას, სემესტრების ხანგრძლივობას. ყოველ სასწავლო კურს აქვს შესაბამისი კრედიტი, რომელსაც განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო კურსის განმახორციელებელთან/განმახორციელებლებთან ერთად;
საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, საშუალებას აძლევს სტუდენტს აირჩიოს არასავალდებულო კომპონენტები სურვილისამებრ;
ქ) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - რესურსი რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებას და პასუხობს აკრედიტაციის/ავტორიზაციის სტანადარტების მოთხოვნებს;
ღ) პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი - სათანადო კომპეტენციის მქონე აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად;
ყ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა: სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების უფლება.
შ) პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;
მეორე საფეხური (მაგისტრატურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;
სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღ-ლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკო-სის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათ-ლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

9. საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სწავლის შედეგების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლის შედეგებიც გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

თავი 3. საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი.

1. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეთა ხმათა უმრავლესობით;

2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებული ვარიანტის პროექტი განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ აკრედიტაციის სტანდარტებთან, შესაბამის დარგობრივ მახასიათებელთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესთან;
4. თუ საგანმანათლებლო პროგრამა პასუხობს მე-3 თავის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს აძლევს რეკომენდაციას საგანმანათლებლო პროგრამა წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
5. თუ საგანმანათლებლო პროგრამა არ პასუხობს მე-3 თავის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უბრუნებს პროგრამას ფაკულტეტის საბჭოს დამუშავება/სრულყოფისათვის;
6. საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
7. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაცია, განახლება (ცვლილება), ხორციელდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე, რომელსაც საფუძვლად უდევს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების დასკვნები. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროგრამის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში), პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და დამსაქმებლები.
8. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:
   ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი;
   ბ) უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით;
   გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
9. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და მტკიცდება რექტორი ბრძანებით;
10. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა;
11. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაციის ან გაუქმების შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია:
    ა) შესთავაზოს სტუდენტებს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც თავსებადი (რელევანტური) იქნება და მოხდება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;
    ბ) საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
    გ) უზრუნველყოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თავსებადი (რელევანტური) საგანმანათლებლო პროგრამების მოძიება და სტუდენტების ინფორმირება.
    დ) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

თავი 4. საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

1. უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შდეგების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
2. სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების, ხარვეზების გამოვლენისა და ხარისხის გაუჯობესების მიზნით, პროგრამის მიმდინარეობის თითოეულ ეტაპზე ხორციელდება მიღწეული შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის კონკრეტულ ეტაპზე მოსალოდნელ სწავლის შედეგთან.
3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:
   ა. პროგრამის მიმდინარეობის პროცესში;
   ბ. პროგრამის დასრულების შემდეგ;

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მიმდინარეობის პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მიმდინა-რეობის პროცესში ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება
2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასება
3. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შუალედური შედეგების შეფასება
4. სტუდენტთა დასკვნითი შედეგების შეფასება
5. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასება
6. სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის შეფასება (კონფერენციებში მონაწილეობის რაოდენობა, გამოქვეყნებული თეზისების, სტატიების რაოდენობა, კვლევებში მონაწილეობა)(იხ.დანართი #1)

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის დასრულების შემდეგხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

1) აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასება
2) სტუდენტის მიერ ზოგადი (დარგობრივი) კომპეტენციების შესრულების შეფასება
3) დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროგრამის და შეძენილი კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების შეფასება
4) დამსაქმებლის კითხვარის ანალიზი და შეფასება
5) კურსდამთავრებულთა სტატისტიკის შეფასება, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს შემდგომ საფეხურზე
6) (სტომატოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის იგულისხმება სარეზიდენტურო პროგრამებიც)

7) პროფილის მიხედვით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა შეფასება
8) კურსდამთავრებულთა სტატისტიკა (იხ.დანართი #2)

ასევე, სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების მიზნით პერმანენტულად ხორციელდება ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება. ხდება შედეგების ანალიზი და რეკომედაციების შემუშავება სასწავლო პროცესის სრულყოფის და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით.

სტუდენტის დარგობრივი კომპეტენციების შედეგების შეფასების ინსტრუქცია

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული/ინგლისური)

1) ეტაპობრივი მონიტორინგის დროს ფასდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს თითოეული დარგობრივი კომპეტენცია, ასევე ყველა დაგობრივი კომპეტენცია ერთად, როგორც ვერტიკალურად ასევე ჰორიზონტალურად, თითოეული კომპეტენციის, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური შეფასება არის ინდივიდუალური (იხ. დარგობრივ კომპეტენციათა შეფასების ცხრილი).

ა) 3 ქულა - ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 70-100%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა)

ბ) 2 ქულა - ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 30-69%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა)

გ) 1 ქულა - ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 10-29%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა)

2) საბოლოო შეფასებისათვის, ჯამდება, 6 სასწავლო წლის ყველა კომპეტენციაში მინიჭებული ქულა. თითოეულ კომპეტენციას, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ენიჭება 1-3 ქულა:

ა) 3 ქულა- ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 70-100%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა)

ბ) 2 ქულა- ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 30-69%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა);

გ) 1 ქულა- ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 10-29%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა)

პროგრამა 6 სასწავლო წლის ბოლოს ფასდება შემდეგი ქულებით:

1) 180-234 ქულა - ძალიან კარგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 3 ქულა)
2) 130-179 ქულა- კარგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 2 ქულა)

3) 78-129 ქულა- დამაკმაყოფილებელი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 1 ქულა)
4) 78 ქულაზე ნაკლები ჩაითვლება უარყოფით შედეგად (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 0 ქულა)

საბაკალავრო, სამაგისტრო და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (კომპეტენციების მიხედვით)

საბაკალავრო, სამაგისტრო და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგისა და გაზომვის მიზნით, განხორციელდეს პროგრამის შედეგზე გასვლის ეტაპობრივი მონიტორინგი (ყოველწლიური) და საბოლოო შეფასება (პროგრამის დასრულების შემდეგ).

1) ეტაპობრივი მონიტორინგის დროს ფასდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს თითოეული დარგობრივი კომპეტენცია, ასევე ყველა დარგობრივი კომპეტენცია ერთად, როგორც ვერტიკალურად ასევე ჰორიზონტალურად, თითოეული კომპეტენციის, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური შეფასება არის ინდივიდუალური (იხ. კომპეტენციათა შეფასების ცხრილი).

ა) 3 ქულა - ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 70-100%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა);

ბ) 2 ქულა- ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 30-69%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა)

გ) 1 ქულა- ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 10-29%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა);

2) საბოლოო შეფასებისათვის, ჯამდება, ყველა სასწავლო წლის ყველა კომპეტენციაში მინიჭებული ქულა. თითოეულ კომპეტენციას, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ენიჭება 1-3 ქულა:

ა) 3 ქულა - ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 70-100%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა);

ბ) 2 ქულა- ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 30-69%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა);

გ) 1 ქულა - ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 10-29%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა);

I. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (კომპეტენციების მიხედვით) სასწავლო წლის ბოლოს ფასდება შემდეგი ქულებით:

1. 57-72 ქულა - ძალიან კარგი შედეგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 3 ქულა)
2. 41 - 56 ქულა - კარგი შედეგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 2 ქულა)
3. 25 - 40 ქულა - დამაკმაყოფილებელი შედეგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 1 ქულა)
4. 0 - 24 ქულა - უარყოფითი შედეგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 0 ქულა)

II. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (კომპეტენციების მიხედვით) სასწავლო წლის ბოლოს ფასდება შემდეგი ქულებით:**

1. 31- 42 ქულა - ძალიან კარგი შედეგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 3 ქულა)
2. 21 - 30 ქულა - კარგი შედეგი(პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 2 ქულა)
3. 8 - 20 ქულა - დამაკმაყოფილებელი შედეგი(პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 1 ქულა)
4. 0 - 7 ქულა - უარყოფითი შედეგი(პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 0 ქულა)

III. **სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (კომპეტენციების მიხედვით) სასწავლო წლის ბოლოს ფასდება შემდეგი ქულებით:**

1. 107 - 135 ქულა - ძალიან კარგი შედეგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 3 ქულა)
2. 76 - 106 ქულა - კარგი შედეგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 2 ქულა)
3. 45 -75 ქულა - დამაკმაყოფილებელი შედეგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 1 ქულა)
4. 0 - 45 ქულა - უარყოფითი შედეგი (პროგრამის შეფასების ამ სეგმენტში ენიჭება 0 ქულა)

IV სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება

სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თითოეულ სწავლის შედეგში შემავალი სასწავლო კურსების მიხედვით:

ა) 3 ქულა - ერთ სწავლის შედეგში შემავალ სასწავლო კურსების 70-100%-ში დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა);

ბ) 2 ქულა- ერთ სწავლის შედეგში შემავალ სასწავლო კურსების 30-69%-ში დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა);

გ) 1 ქულა - ერთ სწავლის შედეგში შემავალ სასწავლო კურსების 10-29%-ში დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა)

დ) 0 ქულა - ერთ სწავლის შედეგში შემავალ სასწავლო კურსების 0-9%-ში დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა)

მედიცინის ფაკულტეტი

სტუდენტის სწავლის შედეგები ფასდება 13 დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით (თითოეული კომპეტენციაში შემავალი საგნების შეფასებით), ექვსი წლის მანძილზე, თითო წელი ფასდება მაქსიმალურად 3 ქულით, შესაბამისად 13 * 3 = 39

ა) 35-39 ქულა - ძალიან კარგი შედეგი
ბ) 25-34 ქულა - კარგი შედეგი
გ) 0-24 ქულა - საშუალო შედეგი

სტომატოლოგიის ფაკულტეტი

სტუდენტის სწავლის შედეგები ფასდება 9 სწავლის შედეგის მიხედვით (თითოეული სწავლის შედეგში შემავალი საგნების შეფასებით), ექვსი წლის მანძილზე, თითო წელი ფასდება მაქსიმალურად 3 ქულით, შესაბამისად 9 * 3 = 27

ა) 22-27 ქულა - ძალიან კარგი შედეგი

ბ) 15 - 21 ქულა - კარგი შედეგი
გ) 0-14 ქულა - საშუალო შედეგი

ბაკალავრიატი

სტუდენტის სწავლის შედეგები ფასდება 6 სწავლის შედეგის მიხედვით (თითოეული სწავლის შედეგში შემავალი საგნების შეფასებით), ოთხი წლის მანძილზე, თითო წელი ფასდება მაქსიმალურად 3 ქულით, შესაბამისად 6 * 3 = 18

ა) 13 -18 ქულა - ძალიან კარგი შედეგი
ბ) 7- 12 ქულა - კარგი შედეგი
გ) 0-7 ქულა - საშუალო შედეგი

მაგისტრატურა

სტუდენტის სწავლის შედეგები ფასდება 7 სწავლის შედეგის მიხედვით (თითოეული სწავლის შედეგში შემავალი საგნების შეფასებით), ორი წლის მანძილზე, თითო წელი ფასდება მაქსიმალურად 3 ქულით, შესაბამისად 7 * 3 = 21

ა) 16-21 ქულა - ძალიან კარგი შედეგი
ბ) 10-15 ქულა - კარგი შედეგი
გ) 0-10 ქულა - საშუალო შედეგი

თავი 5. საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების კრიტერიუმები

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

პროგრამის შემუშავებისას გამოყენებულია მოქმედი კანონმდებლობის და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპები;

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გონივრულ ვადაში;

პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს;

პროგრამის კომპონენტის მოცულობის განსაზღვრა ხდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;

საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების უზრუნველყოფა სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადებისთვის და მათი შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამას აქვს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას;
არსებობს სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია პროგრამის მიმდინარეობის პროცესში

I. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მიმდინარეობის პროცესში

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის მიმდინარეობის პროცესში ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით და მეთოდოლოგიით:

1) სტუდენტის მიერ ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება

ა) სტუდენტთა დადებითი შეფასება შეადგენს 100% - 3 ქულა

ბ) სტუდენტთა დადებითი შეფასება შეადგენს 75-99% - 2 ქულა

გ) სტუდენტთა დადებითი შეფასება შეადგენს 51-74% - 1 ქულა

დ) სტუდენტთა, პროფესორ/მასწავლებელთა ანკეტა/კითხვარების სემესტრული ანალიზი კვლევის სარწმუნოობისთის, საჭიროა პროგრამაზე დარეგისტრირებულ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა 95% და მეტი ჩართულობა.

ე) ანკეტა დადებითად ჩაითვლება 26-51 ქულის მიღების შემთხვევაში.

2) აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასება

ა) პროგრამის განმახორციელებელ პროფესორ/მასწავლებელთა დადებითი შეფასება 100% - 3 ქულა

ბ) პროგრამის განმახორციელებელ პროფესორ/მასწავლებელთა დადებითი შეფასება შეადგენს 75-99% - 2 ქულა

გ) პროგრამის განმახორციელებელ პროფესორ/მასწავლებელთა დადებითი შეფასება შეადგენს 51-74% - 1 ქულა

დ)კვლევის სარწმუნოობისთვის, საჭიროა პროგრამის განმახორციელებელ პროფესორ/მასწავ-ლებელთა 95% და მეტი ჩართულობა

ე) ანკეტა დადებითად ჩაითვლება 25-48 ქულის მიღების შემთხვევაში

3) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შუალედური შედეგების შეფასება

ა) იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა 70-100% მიიღო შუალედური შეფასების ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (50-70 ქულამდე) – შეფასდება 3 ქულით, რაც გულისხმობს ძალიან კარგ შედეგს.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა 30-69% მიიღო შუალედური შეფასების ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (50-70 ქულამდე) – შეფასდება 2 ქულით, რაც კარგი შედეგის მაჩვენებელია

გ) იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა 10-29% მიიღო შუალედური შეფასების ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (50-70 ქულამდე) – შეფასდება 1 ქულით, დამაკმაყოფილებელ შედეგს გულისხმობს.

4) სტუდენტთა დასკვნითი შედეგების შეფასება

ა) სტუდენტთა 91-100% მიიღო A,B,C შეფასება - 7 ქულა

ბ) სტუდენტთა 81-90% მიიღო A,B,C შეფასება - 6 ქულა

გ) სტუდენტთა 71-80% მიიღო A,B,C შეფასება - 5 ქულა

დ) სტუდენტთა 61-70% მიიღო A,B,C შეფასება - 4 ქულა

ე) სტუდენტთა 51-60% მიიღო A,B,C შეფასება - 3 ქულა
ვ) სტუდენტთა 41-50% მიიღო A,B,C შეფასება - 2 ქულა
ზ) სტუდენტთა 0-40% მიიღო A,B,C შეფასება - 1 ქულა

სემესტრის დასრულებისას ითვლება შესაბამის სასწავლო წელს ჩარიცხულთა ყველა საგნის ABC შეფასების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი და ენიჭება შესაბამისი ქულა.

5) სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული სერვისების შეფასება

ა) ადმინისტრაციული სერვისები დადებითად შეფასდა 100% - 3 ქულა
ბ) ადმინისტრაციული სერვისები დადებითად შეფასდა 75-99% - 2 ქულა
გ) ადმინისტრაციული სერვისები დადებითად შეფასდა 51-74% - 1 ქულა
დ) კვლევის სარწმუნოობისთვის, საჭიროა პროგრამის განმახორციელებელ პროფესორ/მას-წავლებელთა 95% და მეტი ჩართულობა
ე) ანკეტა დადებითად ჩაითვლება 23-45 ქულის მიღების შემთხვევაში)

6) სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობის შეფასება

ა) პროგრამაზე დარეგისტრირებული სტუდენტების საერთო რაოდენობის 40% და მეტი ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში (გამოაქვეყნა სტატია, თეზისი, მიიღო მონაწილეობა კონფერენციაში, ჩართულია საგრანტო პროექტში, სამეცნიერო კვლევებში) - შეფასდება 4 ქულით, რაც ძალიან კარგი შედეგის მაჩვენებელია

ბ) პროგრამაზე დარეგისტრირებული სტუდენტების 30-39% ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში (გამოაქვეყნა სტატია, თეზისი, მიიღო მონაწილეობა კონფერენციაში, ჩართულია საგრანტო პროექტში, სამეცნიერო კვლევებში) - შეფასდება 3 ქულით, რაც კარგ შედეგს გულისხმობს

გ) პროგრამაზე დარეგისტრირებული სტუდენტების 10-29% და მეტი ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში (გამოაქვეყნა სტატია, თეზისი, მიიღო მონაწილეობა კონფერენციაში, ჩართულია საგრანტო პროექტში, სამეცნიერო კვლევებში) - ფასდება 2 ქულით, რაც დამაკმაყოფილებელ შედეგს გულისხმობს

დ) პროგრამაზე დარეგისტრირებული სტუდენტების 1-9% ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში (გამოაქვეყნა სტატია, თეზისი, მიიღო მონაწილეობა კონფერენციაში, ჩართულია საგრანტო პროექტში, სამეცნიერო კვლევებში) - ენიჭება 1 ქულა, რაც დაბალი მაჩვენებელია.

შეფასების კომპონენტების ქულების ჯამი

1) 18-23 ქულა პროგრამა გადის ძალიან კარგ შედეგზე
2) 13-17 ქულა პროგრამა გადის კარგ შედეგზე
3) 8-12 ქულა პროგრამის შედეგი დამაკმაყოფილებელია
4) 0-7 ქულა პროგრამის შედეგი ცუდია
5)

დანართი # 2

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტები და მეთოდოლოგია, პროგრამის დასრულების შემდეგ:

1) **აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პროგრამისა და სერვისების შეფასება**

ა) პროგრამის განმახორციელებელ პროფესორ/მასწავლებელთა დადებითი შეფასება 100% - 3 ქულა
ბ) პროგრამის განმახორციელებელ პროფესორ/მასწავლებელთა დადებითი შეფასება შეადგენს 75-99% - 2 ქულა
გ) პროგრამის განმახორციელებელ პროფესორ/მასწავლებელთა დადებითი შეფასება შეადგენს 51-74% - 1 ქულა
დ)კვლევის სარწმუნოობისთვის, საჭიროა პროგრამის განმახორციელებელ პროფესორ/მასწავ-ლებელთა 95% და მეტი ჩართულობა.
ე) ანკეტა დადებითად ჩაითვლება 25-48 ქულის მიღების შემთხვევაში

2) **სტუდენტის მიერ ზოგადი (დარგობრივი) კომპეტენციების შესრულების შეფასება**

ა) ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 70-100%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა) - ენიჭება 3 ქულა, რაც ძალიან კარგი შედეგის მაჩვენებელია.
ბ) ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 30-69%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა) ენიჭება 2 ქულა, რაც კარგი შედეგის მაჩვენებელია.
გ) ერთი სასწავლო წლის მანძილზე, ერთ კომპეტენციის შედეგზე გამსვლელი სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებული სტუდენტთა 10-29%-მა დააგროვა A შეფასება (91-100 ქულა) ენიჭება 1 ქულა, რაც საშუალო შედეგს გულისხმობს.

3) **დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროგრამის და შეძენილი კომპეტენციების პრაქტიკული გამოყენების შეფასება**

ა) დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დადებითი ძეფასება ძეადგენს 100 %- 3 ქულა
ბ) დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დადებითი შეფასება შეადგენს 75-99% - 2 ქულა
გ) დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დადებითი შეფასება შეადგენს 51-74% - 1 ქულა
დ) კვლევის სარწმუნოობისთვის, საჭიროა დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა 95% და მეტის ჩართულობა
ე) ანკეტა დადებითად ჩაითვლება 11-21 ქულის მიღების შემთხვევაში)

4) **დამსაქმებლის კითხვარის ანალიზი და შეფასება**

ა) დამსაქმებლის დადებითი შეფასება შეადგენს 100%- 3 ქულა
ბ) დამსაქმებლის დადებითი შეფასება შეადგენს 75-99% - 2 ქულა
გ) დამსაქმებლის დადებითი შეფასება შეადგენს 51-74% - 1 ქულა
დ) კვლევის სარწმუნოობისთვის, საჭიროა დამსაქმებელთა 95% და მეტის ჩართულობა
ე) ანკეტა დადებითად ჩაითვლება 3-6 ქულის მიღების შემთხვევაში)

5) **კურსდამთავრებულთა სტატისტიკის შეფასება, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს შემდგომ საფეხურზე**
ა) კურსდამთავრებულთა 30% და მეტმა სწავლა გააგრძელა შემდგომ საფეხურზე -3 ქულა, ძალიან კარგი მაჩვენებელი

ბ) კურსდამთავრებულთა 10-29% სწავლა გააგძელა შემდგომ საფეხურზე - 2 ქულა, კარგი შედეგის მაჩვენებელია
გ) კურსდამთავრებულთა 1-9% სწავლა გააგრძელა შემდგომ საფეხურზე - 1 ქულა, საშუალო შედეგის მაჩვენებალია

სტომატოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (იგულისხმება სარეზიდენტურო პროგრამებიც)

ა) კურსდამთავრებულთა 50% და მეტმა სწავლა გააგრძელა შემდგომ საფეხურზე -3 ქულა, რაც ძალიან კარგი შედეგია
ბ) კურსდამთავრებულთა 20-49% სწავლა გააგძელა შემდგომ საფეხურზე - 2 ქულა, რაც კარგი შედეგია
გ) კურსდამთავრებულთა 1-19% სწავლა გააგრძელეს შემდგომ საფეხურზე - 1 ქულა, რაც დამაკმაყოფილებელ შედეგს გულისხმობს.

პროფილის მიხედვით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სტატისტიკა
ა) კურსამთავრებულთა რაოდენობა რომელიც დასაქმდა პროგრამის დასრულებიდან 6 თვის მანძილზე პროფილით, აჭარბებს 70% ენიჭება 5 ქულა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია.
ბ) კურსამთავრებულთა რაოდენობა რომელიც დასაქმდა პროგრამის დასრულებიდან 1-2 წლის მანძილზე პროფილით, არის 50-70% ენიჭება 4 ქულა, რაც კარგი მაჩვენებელია
გ) კურსდამთავრებულთა რაოდენობა რომელიც დასაქმდა პროფილის მიხედვით არ აღემატება 50% შეფასდება 3 ქულით, რაც დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია

6) კურსდამთავრებულთა სტატისტიკა

ა) კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 100 %- 3 ქულა

ბ) კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 75-99% - 2 ქულა

გ) კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 51-74% - 1 ქულა

დ) კვლევის სარწმუნოობისთვის, საჭიროა დასაქმებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა 100% ჩართულობა

შეფასების კომპონენტების ქულების ჯამი:

1) 20-26 ქულა პროგრამა გადის ძალიან კარგ შედეგზე
2) 15-19 ქულა პროგრამა გადის კარგ შედეგზე
3) 0-14 ქულა პროგრამა შედეგზე ვერ გადის